



რა არის „სოციალური“ სოციალურ ინოვაციებში?

რა არის „სოციალური“ სოციალურ ინოვაციებში?

ინოვაციების შესახებ დისკუსიები ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის სფეროში ახალი არ არის, თუმცა, შედარებით ახალია მსჯელობა სოციალურ ინოვაციებზე. საინტერესო კითხვები ისმება იმაზე, თუ რა უნდა მოვუხერხოთ ინოვაციებს, რომელიც ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული არ არის? ირჩევს თუ არა ბაზარი მხოლოდ თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე მორგებულ მიზნებს? ვინ უნდა დააფინანსოს სოციალური ინოვაციები, რომელიც მდგრადი განვითარების და სამართლიანობის პრინციპებს ეფუძნება? ვინ უნდა გადაწყვიტოს, რა არის პრობლემა კონკრეტულ საზოგადოებაში და ვინ აქცევს მას პრობლემად?¹ ეს და სხვა მრავალი კრიტიკული კითხვა წამოწვევს მნიშვნელოვან ეთიკურ საკითხებს და მოითხოვს შესაბამის რეფლექსიას, რათა თავიდან ავირიდოთ ინოვაციების იმგვარი გაგება, რომელიც მხოლოდ ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროს უკავშირდება.

პირველი მნიშვნელოვანი დაშვება ეფუძნება იდეას, რომ სოციალური ინოვაციების მთავარი მიზანი საზოგადოებაში ცვლილებების მოტანაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა კონტექსტში ხორციელდება ცვლილებები და რატომ გახდეს სოციალურ ინოვაციებზე მსჯელობა აქტუალური.

სოციალური ცვლილებები სხვადასხვა კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში მიმდინარეობს და ხშირად არის ისტორიული პროცესების და კონკრეტული კულტურების პროდუქტი. გაჩნდა გლობალიზაცია, ციფრული მედია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ჰიბრიდული მართვის სისტემები, კონსიუმერიზმი. შესაბამისად, წინა საუკუნეებთან შედარებით, სოციალური სტრუქტურები შეიცვალა და ისინი მარტივიდან უფრო კომპლექსურ სტრუქტურებად იქცნენ.

ამგვარ რეალობაში, გლობალურ და ლოკალურ სოციალურ გამოწვევებზე საპასუხოდ, აუცილებელია, ცვლილებების საკითხს შევხედოთ როგორც გრძელვადიან, მასშტაბურ და ისტორიულ პროცესს, რომელიც არის ერთი დიდი ზესისტემის ნაწილი.²

ცვლილებების ამგვარი ხედვა ეხმარება ადამიანებს, პირადი დაბრკოლებები აქციონ კოლექტიურ წუხილად³. მაგალითად, პირადის კოლექტიურ წუხილად ქცევის მაგალითია ფემინისტური მოძრაობების სლოგანი „პერსონალური არის პოლიტიკური“, რითაც ისინი პირადი პრობლემების საზოგადოებრივ საკითხად ქცევას ცდილობენ.

ცვლილებების ამგვარი ფართო სოციო-პოლიტიკური ხედვა, ასევე, გვეხმარება გამოვააშკარავოთ სოციალური სტრუქტურები, რომლებიც აბრკოლებენ ცვლილებებს ისეთ საკითხებში, როგორცაა დაგროვილი რესურსების თანაბარი გადანაწილება, ხელმისაწვდომობის ზრდა განათლებაზე, ჯანდაცვის სისტემაზე და სხვა სოციალურ მომსახურებებზე. შეუთავსებლობა ადამიანების მხრიდან ღირსეული ცხოვრების მოთხოვნასა და ინსტიტუციურ და სოციალურ წყობას შორის, იწვევს სოციალურ კონფლიქტებს. საპასუხოდ კი მრავალი ფილანტროპი, არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაცია და სახელმწიფოს სოციალური პროგრამები ცდილობენ ინტერვენციების დაგეგმვას, რათა უპასუხონ საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ საჭიროებას.

¹ Moulart, F. (Ed.). (2013). the international handbook on social innovation: collective action, social learning and transdisciplinary research. Edward Elgar Publishing.

² Calhoun, C. (2011). From the current crisis to possible futures. Business as usual: The roots of the global financial meltdown, 1.

³ Wright Mills. C. (1959). The Sociological Imagination 1970 edition.

დაგეგმილი ინტერვენციები ცვლილებების მისაღწევად განსხვავებულია. ისინი შეიძლება ხორციელდებოდეს ქვემოდან ზემოთ (grassroots), ან ზემოდან ქვემოთ ინიციატივით, ცვლილებების ინიციატორი/ტრიგერი შეიძლება იყოს ბუნებრივი მოვლენები, ან ის ხელოვნურად დაგეგმილად ხორციელდებოდეს სხვადასხვა ინსტიტუციის მიერ. ასევე, განსხვავდება ცვლილებების მასშტაბებიც: ის შეიძლება მოხდეს პიროვნულ, რეგიონულ ან საერთაშორისო/გლობალურ დონეზე. ამ განსხვავებული კონტექსტისა და მასშტაბების გათვალისწინებით, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ახსნას ცდილობს ცვლილებების თეორია, რომელიც არის ილუსტრაცია, თუ როგორ ხდება სასურველი ცვლილება კონკრეტულ დროსა და კონტექსტში. ცვლილებების თეორია, პირველ რიგში, განსაზღვრავს გრძელვადიან მიზნებს და ცდილობს, გამოკვეთოს კონკრეტული ნაბიჯები, თუ როგორ შეიძლება მიზანი მიღწეულ იქნეს შედეგების, გაზომვის ინდიკატორებისა და შეფასების მექანიზმების გამოყენებით.

ცვლილებების თეორიიდან სოციალურ ინოვაციამდე

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, თუ როგორ ხდება ცვლილებების ინტერპრეტაცია ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, არის ფოკუსის გადატანა ინოვაციებზე და შემოქმედებითობაზე. ამ კუთხით, სოციალური ინოვაციები, როგორც შესწავლის საგანი სოციალურ მეცნიერებებში, ახალია. ევროპის კომისიის მიერ შექმნილი სოციალური ინოვაციების დოკუმენტის⁴ მიხედვით, თანამედროვე გაგებით სოციალური ინოვაციები 1990-იან წლებში და ადრეულ 2000-იანებში გამოჩნდა, როგორც სოციალური აქტივობების და მკვლევრების მოძრაობა ბრიტანეთში და მოგვიანებით – შეერთებულ შტატებში. მიუხედავად ამისა, სოციალური ინოვაციების ისტორია, დაახლოებით, იმდენივე წლისაა, რამდენიც ცივილიზაცია. ადამიანები მუდმივად ცვლიდნენ და პოულობდნენ გზებს სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად. მაგალითად, ფული, კანონები და თანამედროვე სახელმწიფო თავის დროზე სოციალური ინოვაცია იყო⁵.

სოციალური ინოვაციებს იყენებენ არა მხოლოდ უკვე არსებული სისტემის მიერ შექმნილი უსამართლობების კრიტიკისთვის (ისტორიული უსამართლობები, კოლონიური და პოსტკოლონიური დომინაცია, ავტორიტატული რეჟიმები და ა.შ.), არამედ ახალი ღირებულებების და მნიშვნელობების შექმნისთვის. გასულ საუკუნეებში წამყვანი როლი სოციალურ ინოვაციებში სოციალურ მოძრაობებს ეკავათ. მაგალითად, მე-18 საუკუნეში ძლიერი იყო მონობის საწინააღმდეგო მოძრაობები ბრიტანეთში, რომლებიც ერთ-ერთი პირველები იყვნენ პროტესტის ახალი მეთოდების გამოყენებაში: კამპანიების დაგეგმვა, მასობრივი საწევროები, დემონსტრაციები, პეტიციები, მომხმარებელთა ბოიკოტები, ლოგოები და სლოგანები; ყველა ეს მეთოდი იმ პერიოდში ინოვაციას წარმოადგენდა. 1960 და 1970-იან წლებში განსაკუთრებით ძლიერი იყო სოციალური მოძრაობები ეკოლოგიის, ფემინისტური და ადამიანის უფლებების მიმართულებით, რომლებიც ბიძგს აძლევდა სხვადასხვა ინოვაციური ინიციატივების დანერგვას კერძო და სამთავრობო სექტორში.⁶

სამეცნიერო წრეებში ინოვაციების შესახებ საუბარი, ძირითადად, ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის სფეროებში მიმდინარეობდა. მაგალითად, საწყისები შეგვიძლია ვეძებოთ ჯოზეფ შუმპეტერის (1934)⁷ ნაშრომებში, სადაც ის საუბრობს ინოვაციებზე პროდუქტის და

⁴ Addarii, F., & Lipparini, F. (2017). Vision and trends of social innovation for Europe. Luxembourg: Publications Office of the European Union.

⁵ Cajaiba-Santana, G. (2014). Social innovation: Moving the field forward. A conceptual framework. *Technological Forecasting and Social Change*, 82, 42-51.

⁶ Mulgan, G. (2006). The process of social innovation. *Innovations: technology, governance, globalization*, 1(2), 145-162.

⁷ Schumpeter, J. A., & Redvers, O. P. I. E. (1934). *Theorie der wirtschaftlichen Entwicklung. The Theory of Economic Development. An inquiry into profits, capital, credit, interest, and the business cycle...* Translated... by Redvers Opie.

მომსახურების განვითარების კონტექსტში და მიაჩნია, რომ ინოვაციები არის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა და ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

ევროპის კომისიის მიერ შექმნილ ინოვაციების მწვანე დოკუმენტში⁸ ინოვაციები განმარტებულია, როგორც წარმატებული წარმოება, ასიმილაცია და სიახლეების ათვისება ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. დოკუმენტში სიტყვა „სოციალური“ მოგვიანებით ჩნდება და განმარტავს ინოვაციებს, როგორც არა მხოლოდ ეკონომიკური მექანიზმსა და ტექნიკურ პროცესს, არამედ, როგორც სოციალურ ფენომენს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ სტრუქტურებთან, რომელშიც ის წარმოიშობა. სხვადასხვა ლიტერატურაში სოციალური ინოვაციების სხვადასხვა განმარტებას ვნახავთ. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ზუსტი და მკაცრი განმარტებები მის შესაძლებლობებს უფრო მეტად ზღუდავს, ვიდრე რაიმე სარგებელს სძენს, თუმცა, ზოგადი განმარტების არსებობა და მასზე ორიენტირება მაინც მნიშვნელოვანია.

ოქსფორდის ბიზნესის სკოლის სოციალური ინოვაციების სახელმძღვანელოში⁹ სოციალური ინოვაციები განმარტებულია, როგორც ინოვაციური აქტივობები და მომსახურებები, რომლებიც პასუხობს სოციალურ საჭიროებებს და ის განხორციელებულია ისეთი ორგანიზაციების მიერ, რომელთა მიზანიც არის სოციალური. ამავე სახელმძღვანელოში ავტორები სოციალური ინოვაციების ფენომენს უფრო მარტივად განსაზღვრავენ და ამბობენ, რომ სოციალური ინოვაციები არ არის „ახალი იდეები, რომელიც მუშაობს“. სოციალური ინოვაციების შესახებ კვლევებში, ასევე, ხშირად შევხდებით ჩანაწერებს სოციალურ სანარმოებზე, როგორც ბიზნეს მოდელზე, რომლის მოგების რეინვესტირებაც ხდება კონკრეტული პროდუქტის/მომსახურების სოციალურ მიზანში.

ამ და სხვა მრავალი განმარტების კლასიფიკაცია კარგად არის ორგანიზებული ევროპის კომისიის მიერ შემუშავებულ სოციალური ინოვაციების დოკუმენტში¹⁰, სადაც ეს განსხვავებული განმარტებები დაჯგუფებულია ოთხ სხვადასხვა კატეგორიაში მკვლევრებისა და ორგანიზაციების განსახვავებული პარადიგმების მიხედვით. **ესენია: პრაგმატული, სისტემური, მენეჯერული და კრიტიკული მიდგომები.**

სოციალური ინოვაციების **პრაგმატული მიდგომა**, რომელიც არის დომინანტური მიდგომა ევროპაში, აღწერს სოციალურ ინოვაციებს, როგორც ინოვაციურ აქტივობებს და სერვისებს, რომელიც ინიცირებულია სოციალური მისიის მქონე ორგანიზაციების მიერ და რომლის მიზანიც არის, უპასუხოს საზოგადოების საჭიროებებს.

სისტემური მიდგომა სოციალურ ინოვაციებს მოიაზრებს, როგორც კომპლექსურ მიდგომას, რომლის მეშვეობითაც ინოვაციები, პროდუქტების, პროცესების და პროგრამების საშუალებით, სიღრსმისეულად ცვლიან ყოველდღიურ სტატუს-ქვოს, რესურსების გადანაწილებას, ძალაუფლებრივ დინამიკასა და ღირებულებებს სისტემის შიგნით. ამ განმარტების მიხედვით, სისტემური მიდგომა ხაზს უსვამს საზოგადოების წინააღმდეგობის განწმენის მნიშვნელობას, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ფუნდამენტურ ცვლილებებზე.

⁸ E. Cresson, M. Bangemann, Green Paper on Innovation, European Commission, 1995.
⁹ Mulgan, G., Tucker, S., Ali, R., & Sanders, B. (2007). Social innovation: what it is, why it matters and how it can be accelerated.
¹⁰ Addarii, F., & Lipparini, F. (2017). Vision and trends of social innovation for Europe. Luxembourg: Publications Office of the European Union.

მესამე მიდგომა არის **მენეჯერული**, რომელიც სოციალურ ინოვაციებს განმარტავს, როგორც სოციალური პრობლემების ახალ გადაწყვეტას, რომელიც იქნება უფრო ეფექტური, ქმედითი, მდგრადი, სამართლიანი და რომელიც წარმოქმნის ღირებულებებს ფართო საზოგადოებისთვის და არა ერთი კონკრეტული ინდივიდისთვის და ორგანიზაციისთვის. და ბოლოს,

კრიტიკული მიდგომა სოციალურ ინოვაციას მოიაზრებს, როგორც გაძლიერების და პოლიტიკური მობილიზაციის გრძელვადიან პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ქვემოდან ზემოთ მიდგომით (grassroots) მოახდინოს სოციალური სისტემის ფუნქციონირების ტრანსფორმაცია მატერიალური და არამატერიალური რესურსების სამართლიანი გადანაწილების გზით.

სხვადასხვა მიდგომა და განმარტება რომ შევაჯამოთ, მათი მნიშვნელობა დამოკიდებულია მკვლევრების კვლევის პარადიგმაზე, მსფოლმხედველობაზე, კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანსა და კონკრეტულ სფეროზე. მიუხედავად ამ მრავალფეროვანი ცვლადებისა, სხვადასხვა განმარტებაზე დაფუძნებით, შეგვიძლია გამოვყოთ სოციალური ინოვაციების საერთო მახასიათებლები¹¹:

- ა** სოციალური ინოვაციები არის კონკრეტული ინდივიდების და ჯგუფების გაერთიანება, რომელიც პასუხობს სხვადასხვა სოციალურ გამოწვევას და ცდილობს, იპოვოს პრობლემების გადაჭრის ახლებური გზები;
- ბ** სოციალური ინოვაციები ქმნის ახალ კოლაბორაციულ თანამშრომლობებს და დაინტერესებულია ინტერდისციპლინარული მიდგომებით; ორიენტირებულია პრობლემების ერთობლივ და არა ცალკეულ გადაწყვეტაზე;
- გ** სოციალური ინოვაციები ქმნის თავისუფალ სივრცეებს ცოდნის და გამოცდილების გაზიარებისთვის და დაინტერესებულია მოქალაქეების გაძლიერების მონაწილეობითი პრინციპებით;
- დ** სოციალური ინოვაციები არის უფრო მეტად „მოთხოვნაზე“ ორიენტირებული, ვიდრე - „მიწოდებაზე“.

სოციალური ინოვაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ისიც, რომ სოციალური ინოვაციები ასოცირებულია დაგეგმილ, განსაზღვრულ და მიზანზე ორიენტირებული ნაბიჯების ერთობლიობასთან. მაგალითად, სოციალური ინოვაციების ღია სახელმძღვანელო¹² გამოყოფს სოციალური ინოვაციის ექვს საფეხურს:



მოცემული ნაბიჯები სხვადასხვა სფეროში და დისციპლინაში, შესაძლოა, განსხვავებული იყოს.

¹¹ Social innovation academy. (2020). SOCIAL INNOVATION TRENDS 2020-2030 THE NEXT DECADE OF SOCIAL INNOVATION.

¹² Murray, R., Caulier-Grice, J., & Mulgan, G. (2010). The open book of social innovation (p. 2). London: National endowment for science, technology and the art.

სოციალური ინოვაციების ცნება ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ევროკავშირისთვის, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში დაინტერესებულია სოციალური ინოვაციების ეკოსისტემის შექმნით. ამბობენ, რომ 2009-2019 წლები იყო ოქროს ხანა სოციალური ინოვაციებისთვის, რა დროსაც მოხდა სხვადასხვა კვლევისა და პროექტული ინიციატივის დაფინანსება სოციალური ინოვაციების სფეროს გაძლიერებისთვის¹³. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია პლატფორმა socialchallenges.eu, რომელიც ცდილობს, თავი მოუყაროს სოციალურ პრობლემებს და დააკავშიროს ისინი განხორციელების მსურველ ინიციატივებსა და ჯგუფებთან.

თემატური მიმართულებები, რაზეც ევროპის ქვეყნებში სოციალური ინოვაციები მუშაობენ, მრავალფეროვანია. ევროპის კომისიის მიერ შექმნილ სოციალური ინოვაციების დოკუმენტში¹⁴ გამოყოფილია შვიდი თემატური მიმართულება, რომელიც დახასიათებულია, როგორც ტრენდული მიმართულებები ევროპის კონტინენტზე. ესენია: ინსტიტუციური გაძლიერება და კეთილდღეობა, დემოკრატია და ნდობა, უნარები და მომავლის სამუშაო, ინტერნეტ ტექნოლოგიები და ონლაინ და ოფლაინ კავშირები, ახალი ფინანსური ინსტრუმენტები, ურბანული განახლება/განვითარება, გლობალური ურთიერთდამოკიდებულება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი თემები საკმაოდ ფართოა, ეს ტრენდები მაინც არ ასახავს იმ ტენდენციებს, რომელიც შეიძლება რელევანტური იყოს ყველა გეოგრაფიულ კონტექსტში. ამ კუთხით საინტერესოა 2020 წლის სოციალური ინოვაციების აკადემიის პუბლიკაცია,¹⁵ რომლის მიხედვითაც, სოციალური ინოვაციების ტრენდების განსაზღვრა დამოკიდებულია კონკრეტულ გეოგრაფიულ კონტექსტზე. მაგალითად, აფრიკის ბევრ ქვეყანაში სოციალური ინოვაციები ფოკუსირებულია ჯანდაცვის და ჰიგიენის საკითხებზე და სიღარიბის დაძლევაზე. ევროპაში სოციალური ინოვაციები ცდილობენ უპასუხონ კლიმატის ცვლილებას, მოსახლეობის დაბერებას, ლტოლვითა ნაკადს/მიგრაციას და პოლიტიკური პარტიების პოპულიზმს. აზიაში ინოვაციური პროექტების ფოკუსში არის სათემო განვითარება, სექტორთაშორისი კოლაბორაცია და არადემოკრატიული სისტემების ცვლილება.

ფუტკრები და ხეები: ვინ ახორციელებს სოციალურ ინოვაციებს?

ხშირად სოციალურ პრობლემებზე რეაგირება მხოლოდ არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ხელში რჩება, ამიტომ ეს სექტორი სერიოზული მოთამაშეა ამ სფეროში. ამ რეალობის მიუხედავად, სოციალურ ინოვაციებზე მონოპოლია მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ უნდა დაეკისროს. სოციალურ ინოვაციებს არ აქვს ჩაკეტილი საზღვრები და ის შეიძლება ინიცირებული იყოს კონკრეტული ინდივიდების, საჯარო, არასამთავრობო, კერძო და საინიციატივო ჯგუფების მიერ. მაგალითად, ეროვნული პოლიტიკის დონეზე სოციალური ინოვაციის მაგალითი შეიძლება იყოს ახალი ბელანდია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დართო ქალებს ხმის მიცემის უფლება. ასევე, სახელმწიფო სტრუქტურები, როდესაც ისინი ცვლიან ჯანდაცვის სისტემას თანამედროვე ტექნოლოგიებით; ბაზარი, როდესაც ის იწყებს ორგანული პროდუქციის წარმოებას და იზიარებს სამართლიანი ანაზღაურების იდეას მშრომელებისთვის (fair trade); სოციალური საწარმოები, როდესაც ისინი გასცემენ მიკროკრედიტებს უსახლკაროებისთვის. 1945 წლიდან დემოკრატიული მთავრობები აქტიურად ჩაერთვნენ კეთილდღეობის სახელმწიფოების მშენებლობაში, რომელიც გულისხმობდა სასკოლო სისტემის

¹³ Social innovation academy. (2020). SOCIAL INNOVATION TRENDS 2020-2030 THE NEXT DECADE OF SOCIAL INNOVATION.
¹⁴ Addarii, F., & Lipparini, F. (2017). Vision and trends of social innovation for Europe. Luxembourg: Publications Office of the European Union
¹⁵ Social innovation academy. (2020). SOCIAL INNOVATION TRENDS 2020-2030 THE NEXT DECADE OF SOCIAL INNOVATION.

გამართვას, საკრედიტო სესხების გაცემას ფერმერებისთვის, კოლეჯების მშენებლობას ზრდასრულთა განათლებისთვის და ა.შ.¹⁶

ამჟამად სოციალური ინოვაციებით სხვადასხვა სფერო და დისციპლინა დაინტერესებული: სოციალური მენარმეობა, დიზაინი, ტექნოლოგიები, საჯარო პოლიტიკა, ქალაქებისა და ურბანული განვითარება, სოციალური მოძრაობები, სათემო განვითარება. ხშირად სოციალური ინოვაციები ამ სფეროებს შორის ურთიერთკავშირის დროს ჩნდება. ეს ხაზს უსმავს იმას, თუ როგორი კრიტიკული მნიშვნელობა აქვს „დამკავშირებლებს“ ნებისმიერ ინოვაციურ სისტემაში. ანუ, ადამიანები, რომლებიც აკავშირებენ ერთმანეთთან იდეებს, რესურსებს და ძალაუფლებას. ასეთ ადამიანებს პირობითად უწოდებენ ფუტკრებს და ხეებს. ფუტკრები, რომლებსაც აქვთ კრეატიული იდეები და ხეები, რომლებსაც აქვთ რესურსები იდეების განსახორციელებლად. ორივეს სჭირებათ ერთმანეთი, ამიტომ „დამკავშირებლების“ იდეას სოციალურ ინოვაციებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოციალურ ინოვაციებში მხოლოდ იდეები და შედეგები არ არის მნიშვნელოვანი. თანაბარი ყურადღება ეთმობა, თუ როგორ იმართება თვითონ პროცესები და რა ძალაუფლება აქვთ მასში მონაწილე პირებს. ასეთი პროცესების მართვისთვის და თანამშრომლობების რეალობად ქცევისთვის, საჭიროა ენთუზიამი, დროის დათმობა, ფინანსები, ასევე, ადამიანებისა და რესურსების დაკავშირების უნარი¹⁷. სხვა სიტყვებით, ინოვაცია არ არის მხოლოდ იდეა, ამიტომ მნიშვნელოვანია შესაბამისი უნარები მისი პრაქტიკაში განხორციელებისთვის. ამ უნარების საილუსტრაციოდ სოციალურ ინოვაციებში ხშირად საუბრობენ მენარმეობაზე, როგორც უნარზე, რომელიც ეხმარებათ ადამიანებს და კონკრეტულ ჯგუფებს, იდეები რეალობად აქციონ. ასეთი უნარების განვითარებისთვის და იდეების დახვეწისთვის სოციალურ ინოვაციებში ხშირად იყენებენ აზროვნების დიზაინის¹⁸ ტექნიკებს, რომელიც ადამიანებს ეხმარება, იდეები რეალობად აქციონ. აზროვნების დიზაინის მიზანია იმ დაშვებების განეიტრალება, რომელიც ბლოკავს ეფექტურ გადაწყვეტილებებს და ითვალისწინებს იდეების რეალობად ქცევისთვის საჭირო ყველა საფეხურს.

გარდა მენარმული უნარებისა, სოციალური ინოვაციების განხორციელებისთვის ასევე საჭიროა შესაბამისი მოტივაცია იმუშაო კონკრეტული პრობლემების მოგვარებაზე. ზოგიერთი ავტორი ამბობს, რომ ინიციაციების მოტივაცია, ჩაერთონ კონკრეტული ტიპის აქტივობაში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვთ მათ:

- 01** | **გავლენა:** „მე შემძლია ცვლილებების მოხდენა“;
- 02** | **კომპეტენცია:** „მე კარგი ვარ იმაში, რასაც ვაკეთებ“;
- 03** | **მნიშვნელობა:** „ მე ვღელავ და მანუხებს ის, რასაც ვაკეთებ“;
- 04** | **არჩევანი:** „მე შემძლია განვსაზღვრო, რას ვაკეთებ“¹⁹.

¹⁶ Mulgan, G., Tucker, S., Ali, R., & Sanders, B. (2007). Social innovation: what it is, why it matters and how it can be accelerated.
¹⁷ Unceta, A., Castro-Spila, J., & Garcia Fronti, J. (2016). Social innovation indicators. Innovation: The European Journal of Social Science Research, 29(2), 192-204.
¹⁸ Brown, T., & Wyatt, J. (2010). Design thinking for social innovation. Development Outreach, 12(1), 29-43.
¹⁹ Thomas, K. W., & Velthouse, B. A. (1990). Cognitive elements of empowerment: An “interpretive” model of intrinsic task motivation. Academy of management review, 15(4), 666-681.

სოციალური ინოვაციების კრიტიკული პერსპექტივა

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ინოვაციების მიმართ ინტერესი იზრდება და ევროკავშირსაც სოციალური ინოვაციები არსებული გამოწვევების მოგვარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდად მიაჩნია, არსებობს მის ირგვლივ არსებული კრიტიკული მოსაზრებებიც. „გაძლიერების“ (development) დისკურსის კრიტიკული პერსპექტივა ამბობს, რომ გაძლიერება და სოციალური მხარდაჭერა ხშირად შეიძლება კონტრპროდუქტიული იყოს, ამიტომ იმისთვის, რომ სოციალური ინოვაციები ეფექტურად იქნას დაგეგმილი და განხორციელებული, მნიშვნელოვანია კრიტიკულ საკითხებზე რეფლექსია.

პირველი მნიშვნელოვანი კრიტიკა ეფუძნება ნეოლიბერალური დისკურსის მანკიერებებს. სხვა სიტყვებით, წარმოქმნილი სოციალური პრობლემების მოგვარება ხდება ფრაგმენტულად და ზედაპირულად ნაცვლად იმისა, რომ მთავარი აქცენტი პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე და მის პირდაპირ გადაწყვეტებზე დაისვას. კრიტიკული პარადიგმის პრიზმაში, მენისტრიმული სოციალური მეწარმეობა და სოციალური ინოვაციები კონტექსტურად უქტიულებია და ის უთანასწორო სისტემის თვითნარმოებას უფრო მეტად უწყობს ხელს, ვიდრე მის ტრანსფორმაციას. ზოგიერთი ავტორი²⁰ ამბობს, რომ რადგან სოციალური პრობლემები არის სოციალურად კონსტრუირებული, სადაოა, როგორ ახერხებენ გარკვეული ელიტური ჯგუფები, კონკრეტულ მორალურ დაშვებებზე დაყრდნობით, კონკრეტული საკითხები აქციონ პრობლემებად. ამიტომ, საყურადღებოა, კონკრეტულ საზოგადოებაში რომელი საკითხები იქცევა პრობლემურად და ვინ აქცევს მას პრობლემურად. ამ დაშვებებზე დაყრდნობით, სოციალური ინოვაციების „სიახლე“ დამოკიდებულია ისტორიულ და კულტურულ კონტექსტზე და ის არასოდეს არის „ეთიკურად ნეიტრალური“.

ამ კრიტიკის საპასუხოდ, ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტი აქცენტს აკეთებს სოციალური ინოვაციების სისტემურ მიმართულებაზე და ამბობს, რომ ბოლო წლების განმავლობაში სოციალური ინოვაციები გაყინული და ფოკუსირებული იყო მხოლოდ პროცედურულ და ოპერაციულ ეტაპზე და არ ითვალისწინებდა მოვლენების გლობალურ კომპლექსურობას, რომელიც სისტემურ ცვლილებებს მოითხოვდა.

მაგრამ, რას ნიშნავს სისტემური სოციალური ინოვაციები? სისტემური მიდგომა, პირველ რიგში, ნიშნავს აღიარებას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ერთი კონკრეტული პრობლემის გარშემო ინტერვენციების დამოუკიდებლად გატარება, მასთან დაკავშირებული პრობლემების და ჯგუფების ჩართვის გარეშე. სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს, რომ მიკრო დაკავშირებულია მაკრო პრობლემებთან, ლოკალური არის გლობალური პრობლემების ნაწილი და პირიქით. დოკუმენტში ამგვარი სისტემური მიდგომის ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილია სამართლიანი ვაჭრობის (fare-trade) მოძრაობა, როდესაც მოხდა მნიშვნელოვანი ღირებულებითი ცვლილებები მომხმარებლებისა და მწარმოებლების დამოკიდებულებაში სამართლიან ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

სხვადასხვა მკვლევარი სოციალური ინოვაციების სისტემური მიდგომის კონცეპტუალიზაციისთვის გვთავაზობს ტრანსფორმაციული სოციალური ინოვაციების თეორიას²¹ (TSI), სადაც ძირითადი აქცენტები გაკეთებულია სისტემური მიდგომის მნიშვნელობაზე. უფრო კონკრეტულად კი ტრანსფორმაციული სოციალური ინოვაციები მიჩნეულია ისეთ პროცესად, რომელიც იწვევს ან ანაცვლებს დომინანტურ ინსტიტუციებს²². იმისთვის, რომ სოციალური ინოვაციები იყოს ტრანსფორმაციული, მნიშვნელოვანია, დაგეგმარების პროცესში მჭიდროდ იქნას კავშირები დანახული ინოვაციებისა და ცვლილებების ფარულ/უჩინარ ასპექტებთან. ამ „ფარული“ კონცეფციის აღსაწერად ავტორები იყენებენ „ცვლილებების ნარატივს“ (იდეების, კონცეპტების და მეტაფორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს, რა უნდა იყოს ცვლილება და რა უნდა იყოს ინოვაციური), რომე-

²⁰ Lawrence, T. B., Dover, G., & Gallagher, B. (2014). Managing social innovation. In M. Dodgson,
²¹ Avelino, F., Wittmayer, J. M., Pel, B., Weaver, P., Dumitru, A., Haxeltine, A., & O'Riordan, T. (2019). Transformative social innovation and (dis)empowerment. *Technological Forecasting and Social Change*, 145, 195-206.
²² Haxeltine, A., Avelino, F., Pel, B., Dumitru, A., Kemp, R., Longhurst, N., & Wittmayer, J. M. (2016). A framework for transformative social innovation. *TRANSIT working paper*, 5, 2-1

ლიც ცდილობს, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს დომინანტური კულტურული დაშვებები და დისკურსები. ტრანსფორმაციული სოციალური ინოვაციების თეორია, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლების საკითხებზე: ვინ ფლობს ძალაუფლებას, ვინ წყვეტს, რა არის პრობლემა და ვინ განსაზღვრავს, რომელი პრობლემა გადაიჭრას?

მიუხედავად იმისა, რომ სისტემური ცვლილება დიდი და ამბიციური მიზანია, ეს არ უნდა იქცეს დაბრკოლებად, კონკრეტულმა ინდივიდებმა სიტემური ცვლილებები უტოპიურ იდეად მიიჩნიონ. ტრანსფორმაციული სოციალური ინოვაციების და სისტემური მიდგომის მთავარ მესიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ დაგეგმარების პროცესში დიდი სურათის და-ნახვის შესაძლებლობა, როდესაც ლოკალური პრობლემა უკავშირდება გლობალურს და პირიქით.

და ბოლოს, სოციალური ინოვაციების შესახებ მრავალმხრივი დისკუსია შეგვიძლია დავასრულოთ ისევ ევროპის კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტის²³ სოციალური ინოვაციების ახალ ხედვის გაცნობით, რომელიც ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: სოციალური ინოვაციები უნდა იყოს ადამიანებზე ფოკუსირებული, სისტემურობაზე ფოკუსირებული და ის გათვალისწინებული უნდა იყოს პოლიტიკის დღის წესრიგში იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს ახალი ტიპის სოციალური კონტრაქტის დადებას სახელმწიფოსა მოქალაქეს შორის.

²³ Addarii, F., & Lipparini, F. (2017). Vision and trends of social innovation for Europe. Luxembourg: Publications Office of the European Union.